

VIVA

ფინანსური ანგარიშგება და

პრაქტიკოსის ანგარიში ფინანსური
ანგარიშგების კომპილაციის შესახებ

შპს VIVA

2022 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. შედგენის საფუძველი	8
2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე	8
2.2. მომზადების საფუძველი	8
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	8
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	9
3.1. ამონაგების აღიარება	9
3.2. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	9
3.3. მოგების გადასახადი	9
3.4. ძირითადი საშუალებები	10
3.5. არამატერიალური აქტივები	10
3.6. მარაგები	11
3.7. კაპიტალი	11
3.8. უცხოური ვალუტა	11
4. ძირითადი საშუალებები	12
5. მარაგები	13
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	13
8. სესხები	13
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
12. ფინანსური რისკის ფაქტორები	14

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს „VIVA“-ს ხელმძღვანელობას

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ მოვამზადეთ შპს „VIVA“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

გარიგება ჩავატარეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში და მისი მომზადებისას გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პაატა შურღია

პარტნიორი

30 სექტემბერი 2023 წელი

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს „VIVA“-ს ხელმძღვანელობას

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ მოვამზადეთ შპს „VIVA“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

გარიგება ჩავატარეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.


წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში და მისი მომზადებისას გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პაატა შურდაია

პარტნიორი

30 სექტემბერი 2023 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		-	114	1,100
ძირითადი საშუალებები	4	41,786	44,217	37,590
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		41,786	44,331	38,690
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	5	468,645	554,063	458,315
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		145,055	15,961	2,430
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,895,570	1,518,577	1,194,535
ფული და ფულის ექვივალენტები	7	83,550	10,929	6,778
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		2,592,820	2,099,530	1,662,058
მთლიანი აქტივები		2,634,606	2,143,861	1,700,748
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		6,265	6,265	6,265
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1,437,739	687,473	552,700
მთლიანი კაპიტალი		1,444,004	693,738	558,965
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები			-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	8	267,673	516,026	450,687
მიღებული ავანსები		139,063	208	2,117
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	705,756	911,296	671,401
საგადასახადო ვალდებულებები		78,110	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	22,593	17,578
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		1,190,602	1,450,123	1,141,783
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		2,634,606	2,143,861	1,700,748

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	მენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		-	114	1,100
ძირითადი საშუალებები	4	41,786	44,217	37,590
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		41,786	44,331	38,690
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	5	468,645	554,063	458,315
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		145,055	15,961	2,430
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,895,570	1,518,577	1,194,535
ფული და ფულის ექვივალენტები	7	83,550	10,929	6,778
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		2,592,820	2,099,530	1,662,058
მთლიანი აქტივები		2,634,606	2,143,861	1,700,748
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		6,265	6,265	6,265
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1,437,739	687,473	552,700
მთლიანი კაპიტალი		1,444,004	693,738	558,965
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	8	267,673	516,026	450,687
მიღებული ავანსები		139,063	208	2,117
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	705,756	911,296	671,401
საგადასახადო ვალდებულებები		78,110	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	22,593	17,578
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		1,190,602	1,450,123	1,141,783
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		2,634,606	2,143,861	1,700,748



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	წელი 2022	წელი 2021
შემოსავალი რეალიზაციიდან		6,911,702	5,545,924
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(5,017,081)	(3,825,717)
მთლიანი მოგება		1,894,621	1,720,207
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები		(819,433)	(722,858)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(679,128)	(794,390)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		(1,498,561)	(1,517,248)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		396,060	202,959
ფინანსური ხარჯები		(55,738)	(61,433)
მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		56,033	28,188
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		353,911	26,204
მოგება დაბეგვრამდე		750,266	195,918
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
საანგარიშო პერიოდის მოგება		750,266	195,918
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავლი წლის განმავლობაში		750,266	195,918

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	პენიშენა	წელი 2022	წელი 2021
შემოსავალი რეალიზაციიდან		6,911,702	5,545,924
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(5,017,081)	(3,825,717)
მთლიანი მოგება		1,894,621	1,720,207
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები		(819,433)	(722,858)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(679,128)	(794,390)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		(1,498,561)	(1,517,248)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		396,060	202,959
ფინანსური ხარჯები		(55,738)	(61,433)
მოგება/(ზარალი) სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		56,033	28,188
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		353,911	26,204
მოგება დაბეგვრამდე		750,266	195,918
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
საანგარიშო პერიოდის მოგება		750,266	195,918
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		750,266	195,918



ფინანსური ანგარიშგება
მას VIVA
2022 წლის 31 დეკემბერი

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,099	296,087	306,186
წლის მოგება/ზარალი		256,613	256,613
წლის მთლიანი შემოსავალი	-	256,613	256,613
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული შემცირება	(3,834)		(3,834)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,265	552,700	558,965
წლის მოგება/ზარალი		195,918	195,918
წინა პერიოდის მოგება (ზარალის) კორექტირება		(61,145)	(61,145)
წლის მთლიანი შემოსავალი	-	134,733	134,733
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,265	687,473	693,738
წლის მოგება/ზარალი		750,266	750,266
წლის მთლიანი შემოსავალი		750,266	750,266
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,265	1,437,739	1,444,004

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,099	296,087	306,186
წლის მოგება/ზარალი		256,613	256,613
წლის მთლიანი შემოსავალი	-	256,613	256,613
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული შემცირება	(3,834)		(3,834)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,265	552,700	558,965
წლის მოგება/ზარალი		195,918	195,918
წინა პერიოდის მოგება (ზარალის) კორექტირება		(61,145)	(61,145)
წლის მთლიანი შემოსავალი	-	134,733	134,733
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,265	687,473	693,738
წლის მოგება/ზარალი		750,266	750,266
წლის მთლიანი შემოსავალი		750,266	750,266
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,265	1,437,739	1,444,004



ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი

2022 წელი

ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	
შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან	6,859,688
სხვა საოპერაციო შემოსავლები	464,755
მთლიანად მიღებული	7,324,443
ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	
გადახდილი თანხები ადგილობრივ მომწოდებლებზე	(1,818,095)
გადახდილი თანხები უცხოელ მომწოდებლებზე	(3,763,808)
გადახდილი ხელფასები	(294,057)
მივლინების თანხები	(7,214)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი	(999,296)
საპენსიო გადახდები	(11,188)
გადახდილი ბანკის საკომისიო	(12,989)
გადახდილი პროცენტები	(53,704)
სხვა გადახდები	(1,506)
მთლიანად გადახდილი	(6,961,857)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	362,586
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(14,303)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(14,303)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
აღებული სესხები	1,202,707
გადახდილი სესხი	(1,451,905)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(249,198)
ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების წმინდა ზრდა	
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე და მის ეკვივალენტებზე	(26,464)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	10,929
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	83,550

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ქართული ლარი

2022 წელი

ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	
შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან	6,859,688
სხვა საოპერაციო შემოსავლები	464,755
მთლიანად მიღებული	7,324,443
გადახდილი თანხები ადგილობრივ მომწოდებლებზე	
გადახდილი თანხები უცხოელ მომწოდებლებზე	(3,763,808)
გადახდილი ხელფასები	(294,057)
მივლინების თანხები	(7,214)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადი	(999,296)
საპენსიო გადახდები	(11,188)
გადახდილი ბანკის საკომისიო	(12,989)
გადახდილი პროცენტები	(53,704)
სხვა გადახდები	(1,506)
მთლიანად გადახდილი	(6,961,857)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	362,586
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(14,303)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(14,303)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
აღებული სესხები	1,202,707
გადახდილი სესხი	(1,451,905)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(249,198)
ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების წმინდა ზრდა	99,085
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე და მის ეკვივალენტებზე	(26,464)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	10,929
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	83,550



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს VIVA წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2013 წელს. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა საკვებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით. კომპანიას ჰყავს სამი პარტნიორი. პარტნიორებისა და მათი წილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი	2021 %	2020 %
01015008582, ფერდინანტ ჩობანიანი	40.00	40.00
01015009735, აკოფ ჩობანიანი	40.00	40.00
01013016616, ედუარდ მურადიანი	20.00	20.00
სულ	100.00	100.00

2. შედგენის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარში.

2.2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

3.2. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

3.3. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის მიხედვით, რომელიც 2017 წლიდანაა ძალაში, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

კომპანიას 2020 და 2021 საანგარიშო პერიოდების განმავლობაში არ გაუნაწილებია მოგება და ასევე, არ განუხორციელებია რაიმე ოპერაცია, რომელიც დასაბეგრი იქნებოდა მოგების გადასახადით. შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯი ნულის ტოლია აღნიშნულ პერიოდებში.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	5 წელი
მანქანა-დანადგარები	7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი ¹

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების

¹ განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღის მიხედვით

ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება საწვავებისგან და გასაყიდად გამიზნული პროდუქციისგან.

3.7. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.8. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 2.8844. (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.0976 ლარი, ერთი ევრო 3.5040).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	მანქანა - დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება 01.01.2021	1,941	26,998	9,649	20,259	58,847
დამატებითი შესყიდვები	-	3,550	4,297	10,500	18,347
31 დეკემბერი 2021	1,941	30,548	13,946	30,759	77,194
დამატებითი შესყიდვები	-	1,386	600	12,043	14,029
რეალიზაცია	-	(10,783)	(6,601)	-	(17,384)
31 დეკემბერი 2022	1,941	21,151	7,945	42,802	73,839
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 01.01.2021	1,667	10,261	3,837	5,492	21,257
ცვეთა	274	5,396	2,061	3,989	11,720
31 დეკემბერი 2021	1,941	15,657	5,898	9,481	32,977
ცვეთა	-	5,557	1,940	4,574	12,071
რეალიზ. ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა	-	(9,740)	(2,983)	(272)	(12,995)
31 დეკემბერი 2022	1,941	11,473	4,856	13,783	32,053
წმინდა საბალანსო ღირებულება					
01 იანვარი 2022	-	14,891	8,048	21,278	44,217
31 დეკემბერი 2022	-	9,678	3,089	29,019	41,786

5. მარაგები

ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მზა პროდუქცია	452,186	551,315
ნედლეული და მასალები	16,459	2,748
სულ მარაგები	468,645	554,063

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საცალო ვაჭრობასთან დაკავშირებული მოთხოვნები	1,839	3,586
საბითუმო ვაჭრობასთან დაკავშირებული მოთხოვნები	1,893,730	1,514,991
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,895,569	1,518,577

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული საღაროში	4,941	7,522
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	48,103	3,050
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	30,506	357
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	83,550	10,929

8. სესხები

	სესხის თანხა GEL	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	კრედიტის ვადა (დღე)	წლიური ნომინალური განაკვეთი	წლიური ეფექტური განაკვეთი	უზრუნველყოფილი
სესხი 1	809,100	20.10.2021	13.05.2022	205	12 %	13%	კი
სესხი 2	157,805	05.02.2016	უვადო	-	13 %	-	არა

კომპანიის მიერ მიღებული ყველა სესხი არის მოკლევადიანი. სესხი 1 წარმოადგენს გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტის ნაწილს. სრული საკრედიტო ლიმიტის ოდენობა შეადგენს 3,120,700 ლარს, რომლით სარგებლობაც კომპანიას შეუძლია მრავალჯერადად, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე. ხელშეკრულება გაფორმებულია 2017 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო დასრულების თარიღი არის 2037 წლის 10 ოქტომბერი. აღნიშნული საკრედიტო ლიმიტი უზრუნველყოფილია კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, აკოფ ჩობანიანის, უძრავი ქონებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ წინა პერიოდებში აღებული სესხი საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში სრულად დაფარულია.

სესხი 2 არის ერთ-ერთი დამფუძნებლისგან მიღებული, 2016 წლის 5 თებერვალს და არის უვადო. აღნიშნულ სესხზე დარიცხული პროცენტების დაფარვა ხდება ყოველთვიურად.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები იურიდიული პირების მიმართ	700,709	907,847
სავაჭრო ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ	5,047	3,449
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	705,756	911,296

კრედიტორული დავალიანების დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, კრედიტორთა გარკვეული რაოდენობის დავალიანების დაფარვა ხდება ერთი კვირის ვადაში.

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	წელი 2022	წელი 2021
ადმინისტრაციული ხელფასი და სხვა შეღავათები	373,025	449,325
ავტომობილის ხარჯები	85,942	110,693
იჯარის ხარჯები	104,243	105,815
კომუნალური ხარჯები	24,895	24,923
ბუღალტრული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	21,615	19,903
ბანკის საკომისიო	13,089	11,296
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	1,205	10,872
მივლინების ხარჯები	7,439	8,685
საოფისე ხარჯები	7,207	8,378
საპენსიო ხარჯები	5,561	7,023
წარმომადგენლობითი ხარჯები	3,136	3,557
კომუნიკაციის ხარჯები	4,305	3,432
საკანცელარიო ხარჯები	1,397	2,703
უსაფრთხოების ხარჯები	1,381	1,424
დაზღვევის ხარჯი	804	806
საგადასახადო ხარჯები	2,055	757
სხვა ხარჯები	9,933	12,092
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	667,232	781,684

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

12. ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან, რომლებიც დენომინირებულია ევროში და არარეზიდენტ პირებთან არსებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებებიდან, რომლებიც განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

